საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

კალანდარიშვილი გერასიმე სიმონის ძე

კალანდარიშვილი გერასიმე სიმონის ძე (4. III. 1836, სოფ. იგოითი, ოზურგეთის მაზრა, – 27. I. 1874), საზოგადო მოღვაწე და პედაგოგი. 1862 დაამთავრა კიევის სას. აკადემია, დაბრუნდა სამშობლოში და დაიწყო მუშაობა ქუთ. სას. სასწავლებელში ზედამხედველად. დიდი ამაგი დასდო ქართ. პედ. აზროვნების განვითარებას. იყო მრავალი პუბლიც. სტატიისა და პოლემიკური წერილის ავტორი. შეადგინა სახელმძღვანელო „რუსული ენის დაწყებითი პრაქტიკული კურსი ქართველებისათვის", რ-მაც დიდი პოპულარობა მოიპოვა.

თხზ.: რუსული ენის დაწყებითი პრაქტიკული კურსი ქართველთათვის, ტფ., 1868.

ზ. შველიძე